ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 364/ №27

(კლასიფიკატორის კოდი 63110000)

სატრანსპორტო ექსპედიციის შესახებ

საქართველო, თბილისი 14.03.2017

ერთის მხრივ, შპს **„EGT Express Georgia"** (ს/ნ 405013587) შემდგომში, „ექსპედიტორი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ძებისაშვილის** (პ/ნ 01024027873) სახით, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მეორე მხრივ არასამეწარმეო იურიდიული პირი **„ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო"** (ს/ნ 445475405), შემდგომში, „დამკვეთი", მოქმედი მისი დირექტორის **ალექსანდრე თევზაძე** (პ/ნ 61001001109) სახით, მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ექსპედიტორი თავისი სახელითა და დამკვეთის ხარჯით უზრუნველყოფს დადგენილი მარშრუტით (იტალია /მონტანა-საქართველო/ბათუმის საბაჟო ტერმინალი), ტვირთის (არასახიფათო, 1 პალეტი ზომებით 81/62/57 სმ, წონა- 262 კგ) ტრანსპორტირებას, რის სანაცვლოდაც დამკვეთი ექსპედიტორს უნაზღაურებს, მომსახურების ღირებულებას **315 ევროს ექვივალენტურ თანხას ლარებში გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით. აღნიშნულ ფასში არ შედის საექსპორტო დეკლარაციის მომზადება იტალიაში, განბაჟება ბათუმში და კარამდე მიტანა.**

1.2 ტვირთების საექსპედიტორო მომსახურება, რომელსაც ექსპედიტორი გაუწევს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით არ მოიცავს ექსპედიტორის მიერ საქართველოში ტვირთების საბაჟო გაფორმებასა და სხვა საბაჟო პროცედურებს, თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 დამკვეთს უფლება აქვს:

2.1.1 მოსთხოვოს ექსპედიტორს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მხარეების მიერ ხელმოწერილი დავალებით განსაზღვრულ ადგილზე და დროში, ტვირთის მიტანა და გადაცემა.

2.1.2 მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების დავალების ჯეროვნად შესრულება.

2.1.3 განკარგოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, თუკი ეს არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს ექსპედიტორისთვის.

2.2. დამკვეთს ვალდებულია:

2.2.1 კონკრეტული გადაზიდვის თაობაზე ექსპედიტორს წარუდგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დავალება, რომლის ფორმაც დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას. დავალებაში უნდა მიეთითოს

ა) ინკოტერმსი

ბ) საშიში ტვირთების საერთაშორისო კოდი, ნომერი, კლასი და შეფუთვის ჯგუფი (UN No, packing group, IMO/ADR class დ.ა.შ.)

გ) მალფუჭებადი ტვირთის შენახვის პირობები

დ) არაგაბარიტული ტვირთის ზუსტი ნახაზები და ზომები.

ე) სხვა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ტვირთის გადაზიდვის, შენახვის, მოპყრობის, დასაწყობების მიზნებისათვის, ან რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ექსპედიტორის მიერ ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯებისა და აუცილებელი ღონისძიებების (მაგ. ლიცენზიის, ნებართვის ან სხვა მსგავსი დოკუმენტის მოპოვების აუცილებლობა) გატარების წინასწარ შეფასებაზე.

2.2.2 უზრუნველყოს ტვირთის მიწოდება და დატვირთვა ექსპედიტორისთვის შეთანხმებულ დროს, ადგილზე და მისი ექსპედიტორისაგან შერჩეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი შეფუთვის, მარკირების ან ფიქსირების წესების დაცვით.

2.2.3. დროულად გადასცეს ექსპედიტორს ყველა ის საბუთი და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ექსპედიტორის მიერ ტვირთის ჯეროვნად ტრანსპორტირებისათვის და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. ხსენებული საბუთები ექსპედიტორს უნდა გადაეცეს იმ კონდიციაში და იმ ოდენობით, რაც საჭიროა ექსპედიტორის მიერ ექსპედიციის მომსახურების ჯეროვნად განსახორციელებლად. დამკვეთი ვალდებულია ექსპედიტორის მიერ ტვირთის საქართველოს სახღვრამდე მოტანამდე უზრუნველყოს ყველა ნებართვის ანდა ლიცენზის მოპოვება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელია ტვირთის საქართველოში შემოსატანად.

2.2.4. დამკვეთი ვალდებულია ექსპედიტორი წინასწარ გააფრთხილოს, რომ გადასაზიდი ტვირთი (ან მისი რომელიმე ნაწილი) წარმოადგენს, მალფუჭებად ან მტვრევად საგანს ან ძვირფასეულობას.

2.2.5. უზრუნველყოს ყველა შესაბამისი საბაჟო, განბაჟების ან მესამე ქვეყნების გავლით ტრანზიტთან დაკავშირებული პროცედურების დაცვა.

2.2.6. შეთანხმებულ დროსა და ადგილზე, მაგრამ არაუგვიანეს საბაჟო ტერმინალზე ტვირთის მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში, ჩაიბაროს ტვირთი და უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების დაცლა.

2.2.7. ტვირთის მიღებისას, ექსპედიტორის წარმომადგენელის თანდასწრებით, უზრუნველყოს მისი გარეგნული დათვალიერება. თუკი დადგინდა ტვირთის (იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი შეფუთულია - მაშინ სათავსოს (კონტეინერის) ან შეფუთვის) დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება, მაშინ დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს, რომ შესაბამისი აღნიშვნა გაკეთდეს საავტომობილო ზედდებულში (CMR), ან საზღვაო ზედდებულში (Bill of Lading) ან სარკინიგზო ზედდებულში (RWB) ან სხვა შესაბამის წერილობით აქტში. ხსენებული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს, როგორც დამკვეთის ასევე ექსპედიტორის სახელით მოქმედი პირის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, ასევე საბაჟო ორგანოების თანამშრომლის ანდა ექსპერტის მიერ.

2.2.8 მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში და წესით განახორციელოს ექსპედირების მომსახურების ღირებულების ანაზღაურება. დამკვეთი ასევე ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს ექსპედიტორს 4.6 პუნქტის შესაბამისად გაწული დანახარჯები.

2.2.9 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულები.

2.3. ექსპედიტორს უფლება აქვს:

2.3.1. დამკვეთისგან დავალების მიღების შემდეგ, ტვირთის მახასიათებლების ანდა გადაზიდვის მარშრუტის შეცვლის შემთხვევაში, მოახდინოს ექსპედირების მომსახურების საზღაურის კორექტირება;

2.3.2 დააკავოს ტვირთი, მისი დამკვეთისა და მიმღების მიუხედავად და ისარგებლოს მფლობელობითი გირავნობის უფლებით, თუ ადგილი აქვს <u>დამკვეთთან</u> შეთანხმებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევას.

2.3.3 ექსპედიტორს, რომელიც შეიძლება გამოვიდეს მოგირავნის როლში, უფლება აქვს, (სასამართლოს გარეშე) უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს, რეგისტრირებული გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდა.

2.3.4 განახორციელოს მისთვის ამ ხელშეკრულებით ან შესაბამისი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

2.4. ექსპედიტორი ვალდებულია:

2.4.1. განახორციელოს ტვირთების <u>ექსპედირების</u> მომსახურების გაწევა დამკვეთის დავალების შესაბამისად.

2.4.2. დამკვეთისგან მიღებული კომერციული დოკუმენტების საფუძველზე შეადგინოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

2.4.3. მოახდინოს ტვირთის ტრანსპორტირება დავალებაში აღნიშნულ დანიშნულების ადგილამდე, განსაზღვრულ ვადაში და დამკვეთისათვის ტვირთის ჩაბარება დაუზიანებელი ლუქით, შიგთავსის შემოწმების გარეშე.

2.4.4 აღრიცხოს ყველა ის ხარჯი, რაც ექსპედიტორმა გაიღო ტვირთის სათანადო სახით მოვლა-შენახვისათვის და რომლის წინასწარ განსაზღვრაც არ მომხდარა ხელშეკრულებით.

2.4.5 განახორციელოს მისთვის ამ ხელშეკრულებითა და შესაბამისი კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ტვირთის ექსპედირება და განსაკუთრებული პირობები

3.1. ექსპედიტორი ტვირთის ექსპედირების მომსახურებას დამკვეთს გაუწევს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებისა და დავალების საფუძველზე. დავალების ფორმა დანართი №1 სახით თან ერთვის ხელშეკრულებას.

3.2. დავალება ექსპედიტორისთვის სავალდებულოდ ითვლება, იმ მომენტიდან, როდესაც დავალების ფორმაზე ხელს მოაწერენ მხარეთა წარმომადგენლები.

3.3. დამკვეთის (ან მისი დავალებით მოქმედი პირის) მიერ ექსპედიტორისათვის ტვირთის გადაცემისას, ექსპედიტორი შესაბამის პირზე გასცემს ტვირთის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს. ექსპედიტორის მიერ ტვირთის მიღების მოწმობის გაცემა ადასტურებს მის მიერ ტვირთის მიღების ფაქტს, ტვირთის სახეობას და ტვირთის რაოდენობას (ცალობით). ტვირთის მიღების მოწმობა არ ადასტურებს და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ექსპედიტორის მიერ მიღებული ტვირთის შემადგენლობის, ღირებულების ან

წონის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნაყარი ტვირთის შემთხვევაში, ტვირთის მიღების მოწმობით არ დასტურდება ბრუტო წონა ან ტვირთის წონის სხვაგვარი აღწერილობა, თუკი საწინააღმდეგო პირდაპირ არ არის მითითებული ტვირთის მიღების მოწმობაში.

3.4. ექსპედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს ტვირთის მიმღებისათვის ტვირთის გადაცემის საბუთი.

3.5 ექსპედიტორი შემკვეთისაგან ტვირთს იღებს რაოდენობრივად და არ კისრულობს პასუხისმგებლობას ტვირთის ნაკლის გამო, თუ ისინი არ ჩანს გარეგნულად და არ უკავშირდება ტვირთის გარეგნულ შეფუთვას.

3.6 თუ გარეგნული დათვალიერების დროს არ გამოვლინდა ტვირთის, მისი შეფუთვის, კონტეინერის ან სხვა სათავსოს ან ლუქის დაზიანება, ან/და ტვირთის რაოდენობრივი დანაკარგი, მაშინ ტვირთი დამკვეთს გადაეცემა მისი შიგთავსის შემოწმების გარეშე და ითვლება, რომ ექსპედიტორმა დამკვეთს ტვირთი გადასცა ზუსტად იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ეს ტვირთი მიიღო დამკვეთისაგან ან მისი სახელით ან დავალებით მოქმედი პირისაგან. თუ დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი, თავს აარიდებენ ტვირთის გარეგნულ დათვალიერებას, ტვირთი დამკვეთისათვის გადაცემულად ჩაითვლება დაზიანებებისა და დანაკარგების გარეშე.

3.6. 1 თუ ექსპედიტორის მიერ დამკვეთისათვის ტვირთის გადაცემისას განხორციელებული ტვირთის გარეგნული დათვალიერებისას გამოვლინდა ტვირთის, ან მისი შეფუთვის, კონტეინერის ან სხვა სათავსოს ან ლუქის დაზიანება, ან/და ტვირთის რაოდენობრივი დანაკლისი, მაშინ: (ა) მხარეები (ან მათი წარმომადგენლები) გამოვლენილ დაზიანებას ან დანაკარგს დააფიქსირებენ წერილობით; (ბ) ცალკე განათავსებენ იმ ტვირთს, რომელსაც აღენიშნება დაზიანება, სანამ არ გახდება შესაძლებელი ზუსტად განისაზღვროს ტვირთის დაზიანების ხასიათი და მოცულობა ანდა ტვირთის რაოდენობრივი დანაკარგის მოცულობა; ამასთან ტვირთის დანარჩენ ნაწილს დამკვეთი (ან მისი წარმომადგენელი) დაყოვნების გარეშე მიიღებს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით; (გ) მხოლოდ ორივე მხარის წარმომადგენელთა თანდასწრებითა და თანხმობით მოხდება დაზიანებული ტვირთის შემდგომი შესწავლა, ზიანის ზუსტი მოცულობისა და ხასიათის დადგენა.

3.7 იმ შემთხვევაში, თუ გადატანილი ტვირთის მიღება არ ხდება შემკვეთის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შეთანხმეულ ვადაში და ადგილას, ექსპედიტორი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის საწყობში მოთავსება, რის ხარჯებსაც დამკვეთი აანაზღაურებს.

3.8 დამკვეთი კისრულობს პასუხისმგებლობას ტვირთის შეფუთვის ხარისხზე, ხოლო ყველა ის ხარჯი, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ტვირთის უხარისხოდ და არასწორად შეფუთვისაგან ანაზღაურდება დამკვეთის მიერ.

4. ანგარიშსწორება

4.1. ექსპედიტორის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებითა და გადასაზიდი ტვირთის მოცულობის, რაოდენობისა და გადაზიდვის მანძილის გათვალისწინებით.

4.2. გადაზიდვის პერიოდში წარმოშობილი ცვლილება, რაც გავლენას მოახდენს გადაზიდვის ღირებულებაზე ანდა სხვა ისეთი ხარჯები, რომლებიც ექსპედიტორის მიერ გაღებულ იქნა ტვირთის სათანადო სახით შენახვის უზრუნველსაყოფად, ანაზღაურდება დამკვეთის მიერ, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და სათანადო დასაბუთების შემდეგ. ამასთან, ისეთი

ცვლილება, როელიც გავლენას მოახდინოს ხელშეკულების ფასზე, არაუგვიანეს 24 საათისა, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან, უნდა აცნობოს დამკვეთს.

4.3 გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება 100% ტვირთის გატანიდან 1 დღის ვადაში, ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური კურსის შესაბამისად.

4.4 დამკვეთი გადაზიდვის მომსახურების საფასურს გადაიხდის, ექსპედიტორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე.

4.5 მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, რაც აღნიშნულ იქნება მათ შორის ელექტრონული მიმოწერითაც, თითოეული მათგანი ვალდებულია გადაიხადოს საურავი შემდეგი ოდენობით:

ა) ტვირთის გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გადაცილებისას-თითოეულ დღეზე- საზღაურის 0,5 %.

ბ) საზღაურის, გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვადის დარღვევის თითოეული დღისთვის- საზღაურის 0.5 %.

4.6 შესაბამისად, თუ დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ექსპედიტორს წარმოექმნა დამატებითი ხარჯები, დამკვეთი ვალდებულია ტვირთის მიღებამდე, აანაზღაუროს ეს ხარჯები, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

4.7 თუკი ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის შემდგომ დამკვეთმა უარი განაცხადა ტვირთის მიღებაზე, ან ტვირთის ტრანსპორტირების პროცესში განაცხადა ასეთი უარი, მაშინ მას დაეკისრება ექსპედიტორისთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ტრანსპორტირების ღირებულების 100%-ის ოდენობით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ექსპედიტორი სრულად აგებს პასუხს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა და დარღვევისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა დამკვეთისათვის ზიანის მიყენება.

5.2. ექსპედიტორი პასუხს არ აგებს საბაჟო ან ნებისმიერი სხვა საჯარო ორგანოს მიერ დამკვეთისათვის წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობაზე.

5.3. ექსპედიტორს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა, შეთანხმებული მომსახურების საფასურის 0.,02% ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.4. დამკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს ექსპედიტორს პირგასამტეხლოს გადახდა, მომსახურების ღირებულების 0.02% ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტვირთის ტრანსპორტირების დაგვიანება გამოწვეული არ არის ექსპედიტორის ბრალეული ქმედებით. ექსპედიტორისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობამ არ შეიძლება გადააჭარბოს ხელშეკრულების 5.6 პუნქტით განსაზღვრულ პირობით დადგენილი ზიანის მოცულობას.

5.5. თავდაპირველი მოვალის (დამკვეთის) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საზოგადოების დირექტორი ან/და მის მიერ დასახელებული სხვა უფლებამოსილი პირი, სოლიდარულად კისრულობს კრედიტორის (ექსპედიტორის) წინაშე ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი საზოგადოების ვალდებულების შესრულებას თავდაპირველ მხარეებს შორის განსაზღვრული სრული თანხის ოდენობით.

5.6. ექსპედიტორის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება 1956 წლის 19 მაისის ჟენევის კონვენციით ცემეერის (CMR) შესახებ. მხარეთა დამატებითი წერილობთი შეთანხმების გარეშე დამკვეთი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს შემსრულებელს აღნიშნული კონვენციით დადგენილ კომპენსაციაზე მაღალი ზიანის ანაზღაურება.

5.7. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ის საკითხები, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

6. ფორსმაჟორი

6.1. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ და არაუგვიანეს 24 საათისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების არსებობის შესახებ.

6.2 მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებების, როგორიცაა სტიქიური მოვლენები, ხანძარი, საჯარო ორგანოების ნებისმიერი ხასიათის აკრძალვა, გაფიცვა, საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, ნებისმიერი სახის სამხედრო მოქმედებები, დარბევები, სამოქალაქო არეულობა, ამბოხი, ბლოკადა და სხვა მსგავსი გარემოებები, მოქმედებით.

6.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდა 30 დღეზე მეტ ხანს, მაშინ მხარეები დამატებით შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადებზე და პირობებზე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ წერილობით არ შეთანხმდებიან მხარეები ვადის გაგძელების შესახებ.

7.2 ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი სადაო საკითხის გადაწყვეტას შეეცდებიან მოლაპარაკების გზით.

8.2. თუ მხარეები ვერ მოახერხებენ სადაო საკითხებუს მოგვარებას მოლაპარაკებათა გზით, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები:

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება უნდა მომზადდეს წერილობითი ფორმით და ჩაბადეს ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ა) ექსპედიტორის შემთხვევაში:

საკონტაქტო პირი: მარი კირთაძე - 595 45 47 90 Mail: m.kirtadze@egt.cz

ფიქრია მაღრაძე - 595 45 47 88 Mail: m.kirtadze@egt.cz

ალექსანდრე ძებისაშვილი - 595 45 47 01 Mail: a.dzebisashvili@egt.cz

ბ) დამკვეთის შემთხვევაში;

საკონტაქტო პირი: - მალხაზ მახარაძე - 577 72 22 29 Mail: maxo_maxaradze@mail.ru

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი წინააღმდეგობაში მოვა მოქმედ კანონმდებლობასთან, მაშინ ბათილია მხოლოდ აღნიშნული ნორმა. ხელშეკრულების სხვა ნაწილები შეინარჩუნებს სავალდებულო იურდიულ ძალას.

9.3 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები წყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად.

9.4. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ მათთვის განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6. ხელშეკრულებას თან ერთვის დავალების ფორმა დანართი №1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

9.8. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2017 წლის 30 მაისის ჩათვლით;

9.9. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი:

EGT Express Georgia ltd

ს/ნ 405013587

მის: ქ. თბილისი, ღამბაშიზის 3ა

მიმღები ბანკი: "თი ბი სი" ბანკი

საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიშის N: GE60 TB74 2253 6080 1000 05

დამკვეთი:

ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო

ს/ნ 445475405

მის: ლ. ასათიანის ქ., №25

ბათუმი, საქართველო

მხარეები ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე.

დირ.: /ა. ძებისაშვილი/

დირ.: /ა. თევზაძე/

ფასების და მომსახურების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ექვივალენტი ლარი)	საერთო თანხა (ექვივალენტი ლარი)
1	ატრაქციონების სათადარიგო ნაწილების ჩამოტანა იტალიიდან	1	315 ₾	315 ₾
	ჯამი			315 ₾

დირექტორი ალექსანდრე ძებისაშვილი